ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ალექსანდრე გოგოძის ანგარიში ამომრჩევლებს

ოზურგეთის თემთა გაერთიანების მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ალექსანდრე გოგოძე წარმომადგენლობით ორგანოში არჩეულია სოფელ ნაგომრის მაჟორიტარული ოლქიდან. იგი არის ფრაქცია ,,ჩვენი ოზურგეთი"-ს თავმჯდომარე, ,,საფინანსო-საბიუჯეტო" და ,,სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის" კომისიების წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ალექსანდრე გოგოძემ მონაწილეობა მიიღო 14 საკრებულოს სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება, გამოცემულია 90 ბრძანება.

საანგარიშო პერიოდში ალექსანდრე გოგოძის თავმჯდომარეობით გაიმართა ფრაქცია ,,ჩვენი ოზურგეთი"-ს 7 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში ალექსანდრე გოგოძეს მონაწილეობა მიღებული აქვს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 15 სხდომასა და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 9 სხდომაში. 2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ალექსანდრე გოგოძეს 5-ჯერ აქვს ჩატარებული შეხვედრა ამორჩევლებთან. ამ შეხვედრებს ჯამში დაესწრო 47 მოქალაქე. მოქალაქეებთან შეხვედრებისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის გაზიფიცირებას, გზების სარემონტო სამუშაოებს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს, სანიაღვრე არხების მოწესრიგებას, სათბობი შეშის გამოყოფასა და დასაქმების პრობლემებს.